ასოციაცია „ათინათი“
„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ზუგდიდის ოფისი
„სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევების ცენტრი“

პროექტი: საზოგადოების ჩართულობა დემოკრატიული თვითმმართველობისათვის

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში გამართული შეხვედრების შუალედური ანგარიში

ანგარიში მომზადებულია „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ მხარდაჭერითა და „შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (Sida) ფინანსური მხარდაჭერით.

ზუგდიდი
2013 წლის 17 სექტემბერი

შესავალი

ასოციაცია „ათინათის“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ზუგდიდის ოფისისა და „სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევების ცენტრის“ კოალიციური პროექტის „საზოგადოების ჩართულობა დემოკრატიული თვითმმართველობისთვის“ ფარგლებში პერიოდულად იმართება შეხვედრები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობასთან.

შეხვედრებზე მიმოიხილება ადგილობრივი თვითმმართველობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და თვითმმართველობის დაგეგმილი რეფორმის ძირითადი საკითხები. ასევე კონკრეტულ თემში არსებული პრობლემების მოკვლევა ხდება, რასაც პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციები გაითვალისწინებენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოსა და სხვა უწყებებისათვის შესათავაზებელ რეკომენდაციებში.

ამ ეტაპზე შეხვედრები გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 15 ტერიტორიულ ერთეულში (ანაკლია, განმუხური, ჭითაწყარი, ცაიში, კახათი, ახალკახათი, ყულიშკარი, ჯიხაშკარი, შამგონა, ახალაბასთუმანი, დიდინეძი, ოქტომბერი, რუხი, რიყე და ჩხორია).

აღნიშნული შეხვედრები ემთხვევა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტისა და „2014 და მომდევნო სამი წლის პრიორიტეტების დოკუმენტის“ შემუშავების პროცესს. ვფიქრობთ, წინამდებარე ანგარიშის შედეგები შესაბამის ორგანოებს გაუადვილებს ბიუჯეტის პრიორიტეტების სწორად დაგეგმვის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ამ ფინანსური დოკუმენტის მოსახლეობის ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანას.

მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობის მიერ გამოვლენილი (თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული) პრობლემები აისახოს 2014 წლის ბიუჯეტში ან/და 2014 და მომდევნო სამი წლის პრიორიტეტების დოკუმენტში. ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ სპეციალური პროგრამა, რომელიც ყოველწლიურად შეისწავლის და გამოავლენს ტერიტორიულ ერთეულებში არსებულ პრობლემებსა და მოსახლეობის საჭიროებებს და საშუალებას მისცემს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებს სწორად დაგეგმონ მომდევნო წლის ბიუჯეტი და პრიორიტეტების დოკუმენტი.

15 სოფელში ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მოსახლეობა ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტის პროცესში მაქსიმალურ ჩართვას ითხოვს; პრობლემები კი ძირითადად ინფრასტრუქტურულ და სოციალურ საკითხებს ეხება. ყველაზე მწვავედ დგას სანიაღვრე არხებთან და გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული თემები. ასევე უსწრაფეს რეაგირებას მოითხოვს საბავშვო ბაღების შენობა-ნაგებობების მოწესრიგებისა და საფუძვლიანი შეკეთების თემა. მტკივნეულია ასევე ელექტროენერგიის სისტემის ინდივიდუალური გამრიცხველიანებისა და საბჭოთა დროს აშენებული შენობების პრივატიზაციის პრობლემები.

წარმოგიდგენთ შეხვედრების შედეგად სოფლებში გამოვლენილ პრობლემებსა და მოსახლეობის საჭიროებებს.

ანაკლია

სოფელი ანაკლია - შავი ზღვის ნაპირზე, მდინარე ენგურის შესართავთან მდებარეობს. იგი ზუგდიდიდან 30 კილომეტრითაა დაშორებული. სოფელში სულ 811 კომლია და დაახლოებით 2650 ადამიანი ცხოვრობს.

გამოვლენილი პრობლემები:

- მოსაწყობია სანიაღვრე არხები - მხოლოდ 2013 წლის ზაფხულში რამდენიმე ათეული ოჯახი საშუალო სიმძლავრის წვიმებისას ორჯერ დაიტბორა;
- მოსახლეობა ასევე მოითხოვს ზღვაზე ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობას - ბოლო ათი წლის მანძილზე ზღვის ნაპირი დაახლოებით 800 მეტრითაა შემოჭრილი;
- ანაკლიაში მწვავედ დგას მიწის საკუთრების საკითხი, 2008 წლის შემდგომ ათეულობით მოქალაქეს ჩამოართვეს მიწა, მათ სანაცვლოდ რაიმე სახის კომპენსაცია დღემდე არ მიუღიათ.

განმუხური

სოფელი განმუხური მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, ზუგდიდიდან დაშორებულია 25 კმ-ით. ამჟამად სოფელში 600-ზე მეტი კომლია, მოსახლეობის რაოდენობა 1300-მდეა.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფლის მასშტაბით მოსაწყობია სანიაღვრე არხები;
- ასაშენებელია მდინარისა და ზღვის სანაპირო ზოლზე ნაპირსამაგრი ნაგებობები;
- ამორტიზებულია შიდა გზების დიდი ნაწილი, შესაბამისად, მოსახლეობა მოითხოვს მათ რეაბილიტაციას;
- განმუხურის საჯარო სკოლის სამი მოსწავლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა თუმცა სკოლის ინფრასტრუქტურა შესაბამისად არ არის ადაპტირებული.

ჭითაწყარი

სოფელი ჭითაწყარი მდინარე ჩხოუშიას მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს, იგი ზუგდიდიდან 4 კილომეტრითაა დაშორებული, ბოლო მონაცემებით სოფელში 4015 ადამიანი ცხოვრობს. ჭითაწყარის ონარიის დასახლება ადგილობრივთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ცალკეულ უსახლკარო ოჯახთა ინტეგრირებულ კომპაქტურ ცენტრს წარმოადგენს.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ ჭითაწყარის ონარიის დასახლებაში ამორტიზებულია ყველა საცხოვრებელი კორპუსი, მოშლილია კორპუსების სახურავი;
- ონარიის დასახლებაში საბჭოთა პერიოდის შემდეგ გაუმართავია კანალიზაცია;
- ონარიის დასახლების მიმდებარედ არსებული სამხარეო პოლიციის შენობიდან გამომავალი საკანილიზაციო მილი სანიაღვრე არხთანაა შეერთებული, რის შედეგადაც პერიოდულად ბინძურდება ჭები, მძიმეა სანიტარული მდგომარეობაც;

- ონარიის მცხოვრებლების უმრავლესობას არ აქვს სახნავ-სათესი მიწები, რადგან მიწა, რომელსაც წლების მანძილზე ამუშავებდნენ გაიყიდა და ერთ-ერთი იტალიური კომპანიის საკუთრებაშია;
- მოსახლეობა ასევე მოითხოვს ე.წ. ყოფილი ფერმის დასახლებაში არსებულ კორპუსებში წყალმომარაგების სისტემის, კანალიზაციისა და შიდა გზების რეაბილიტაციას.

ცაიში

სოფელი ცაიში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე ძველი სოფელია, იგი ზუგდიდიდან 8 კილომეტრითაა დაშორებული. ცაიშში 478 კომლია და 1112 ადამიანი ცხოვრობს.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ ცაიშში მოსახრეშია გზა, რომელიც სოფელს სახნავ-სათეს მიწებთან აკავშირებს;
- სოფლის მასშტაბით ჩასატარებელია სამელიორაციო და მდინარე ჯუმზე ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- ამბულატორიის შენობა, რომელიც ცაიშთან ერთად სოფელ ურთასაც ემსახურება ამორტიზებულია და სრულ განახლებას საჭიროებს.

კახათი

სოფელი კახათი ზუგდიდ-ანაკლიის საავტომობილო გზაზე მდებარეობს. სოფლის ცენტრი ზუგდიდიდან დაშორებულია 10 კ/მ-ით. კახათში 1945 კომლი ცხოვრობს, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა 5939 ადამიანს შეადგენს.

გამოვლენილი პრობლემები:

- გასაწმენდია სანიაღვრე არხები;
- საფუძვლიანად არის გასარემონტებელი სოფელში არსებული ორივე საბავშვო ბაღი;
- მოსახლეობის განცხადებით, საჭიროა სოფელში საბჭოთა დროს აშენებული სხვადასხვა შენობა-ნაგებობის აღწერა, ფიზიკური მდგომარეობის შეფასება და მათი პრივატიზება;
- მოსახლეობა ასევე მოითხოვს სოფლის ცენტრში საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოწყობას.

ახალკახათი

ახალკახათის ზუგდიდი–ანაკლიის საავტომობილო გზაზე მდებარეობს. ზუგდიდიდან 16 კმ-ის დაშორებით. სოფელში 1700-მდე ადამიანი ცხოვრობს..

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ ახალკახათში საბავშვო ბაღი საჭიროებს საფუძვლიან რემონტს, ფართის უქონლობის გამო მხოლოდ 25 ბავშვის მიღებაა შესაძლებელი მაშინ, როდესაც სოფელში სკოლამდელი ასაკის 40-ზე მეტი ბავშვი ცხოვრობს;
- სოფლის ცენტრში მოსაწყობია სანიაღვრე არხი 1,5 კილომეტრიან მონაკვეთზე;
- საკოდუოს უბანში დაზიანებულია ელექტროსადენები და საჭიროებს რეაბილიტაციას;
- სოფლის ცენტრში შესაცვლელია რვა ელექტრობოძი.

ყულიშკარი

სოფელი ყულიშკარი ზუგდიდი-ჩხოროწყუს გზაზე, მდინარე ყულისწყლის ხეობაში მდებარეობს. სოფელში 602 კომლია და 2000-მდე ადამიანი ცხოვრობს.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ ყულიშკარში მოსაწყობია სანიაღვრე არხები, ბოლო 15 წლის მანძილზე მათი უმეტესი ნაწილი არ გაწმენდილა;
- მოსახრეშია შიდა გზების უმეტესი ნაწილი;
- დაზიანებულია წყალმომარაგების სისტემა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოწყობილი ჭაბურღილი მხოლოდ 30 ოჯახს ამარაგებს;
- ავარიულია სოფლის გამგეობის შენობაც, იგი მდინარის ნაპირას არის აშენებული - მიმდებარედ მოსაწყობია ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურა;
- მოსახლეობა ასევე მოითხოვს სოფლის ცენტრში მდგარი ყოფილი კულტურის სახლის შენობის დემონტაჟს. შენობა ავარიულია, ადგილობრივების თქმით, ათეული წლების წინ აშენებული ნაგებობა, შესაძლოა, ნებისმიერ დროს დაინგრეს;
- სოფელში ასევე დაზიანებულია ელექტროსადენებიც. ინდივიდუალური გამრიცხველიანება ამ დრომდე არ მომხდარა;
- შესაცვლელია ყულიშკარის საჯარო სკოლის სახურავი.

ჯიხაშკარი

სოფელი ჯიხაშკარი ზუგდიდიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჩხოროწყუს საზღვარზე მდებარეობს. სოფელში 665 ადგილობრივი და 39 დევნილი ოჯახი ცხოვრობს.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ ჯიხაშკარში მოსახლეობა მოითხოვს სოფელში მდგარი XVII საუკუნის ციხე-სიმაგრის გაწმენდასა და მიმდებარე ტერიტორიაზე გარეგანათების მოწყობას;
- ასევე სოფლის სასაფლაომდე ელექტროსადენების მიყვანას;
- ჯიხაშკარის პირველ საჯარო სკოლას არ მიეწოდება წყალი, დაზიანებულია სახურავი და საჭიროებს განახლებას;
- მოსახლეობა მოითხოვს მეორე საბავშვო ბაღის გახსნასაც, რადგან ერთი ბაღი სკოლამდელი ასაკის ყველა აღსაზრდელს ვერ აკმაყოფილებს შესაბამისი სერვისით.

შამგონა

სოფელი შამგონა მდინარე ენგურის ნაპირას, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარეობს. შამგონაში 2626 ადამიანი ცხოვრობს.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ შამგონას მოსახლეობა ითხოვს, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს ჩაუტარდეს ლაბორატორიული ანალიზი - ისინი მზად არიან დანახარჯის 50 პროცენტი თვითონვე აანაზღაურონ. მოსახლეობის ინფორმაციით, ბოლო 5 წლის მანძილზე მკვეთრად იკლო სიმინდის და სხვა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის დონემ;
- მოსახლეობის განცხადებით, ბოლო წლების მანძილზე შემცირდა თხილის მოსავალიც. ადგილობრივები თხილის პლანტაციებში გავრცელებული დაავადებების შესწავლას ითხოვენ;
- სოფელს მხოლოდ ორი სამარშუტო ტაქსი ემსახურება, რაც მოსახლეობის განმარტებით, არ არის საკმარისი და მოითხოვენ, შპს „ზუგდიდი მუნიციპალური ტრანსპორტისაგან“ დამატებით ერთი ავტობუსის გამოყოფას;
- შამგონის საბავშვო ბაღი მხოლოდ 25 ბავშვზეა გათვლილი მაშინ, როდესაც სოფელში სკოლამდელი ასაკის გაცილებით მეტი ბავშვი ცხოვრობს. ბაღი ყოფილი სოფლის საბჭოს შენობის მეორე სართულზეა განთავსებული, აქ არსებული მატერიალური-ტექნიკური და ჰიგიენური მდგომარეობა კი არ შეესაბამება არავითარ სტანდარტს;
- მოსახლეობა ინდივიდუალური გამრიცხველიანებასაც ითხოვს.

ახალაბასთუმანი

ახალაბასთუმანი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ყველაზე პატარა, თუმცა ყველაზე მჭირდოდ დასახლებული ტერიტორიული ერთეულია. სოფელში 3700-მდე ადამიანი ცხოვრობს. ახალაბასთუმანი ზუგდიდიდან 3 კილომეტრითაა დაშორებული.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ ახალაბასთუმანში მე-4 და მე-5 უბნებში გასაყვანია გასაწმენდია დაზიანებული სანიაღვრე არხები;
- მოსახრეშია სოფლის ცენტრალური გზა 2.5 კილომეტრიან მონაკვეთზე;
- გასარემონტებელია ახალაბასთუმნის საბავშვო ბაღი;
- ახალაბასთუმნის საჯარო სკოლაში კი მოსაწყობია საპირფარეშო.

დიდინექი

სოფელი დიდინექი მდინარე ჯუმის ნაპირას მდებარეობს, იგი ზუგდიდიდან 15 კილომეტრითაა დაშორებული. სოფელში 1540-მდე ადამიანი ცხოვრობს.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ დიდინეძის მოსახლეობა ითხოვს მდინარე ჯუმზე ნაპირსამაგრი ნაგებობების სრულ რეაბილიტაციას;
- საქირიოს უბანში 500 მეტრიან მონაკვეთზე გასაჭრელია ახალი სანიაღვრე არხი, რადგანაც წვიმის დროს ეზოები ხშირად იტბორება;
- სოფლის ცენტრში დამატებით დასამონტაჟებელია გარეგანათების ათი ბოძი და ლამპიონი.

ოქტომბერი

სოფელი ოქტომბერი – ყოფილი ცაიშის კახათი, მდებარეობს ზუგდიდის სამხრეთით 15 კმ. მანძილზე. სოფელში 2500-მდე ადამიანი ცხოვრობს.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ ოქტომბერში სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს კულტურის სახლი, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ძლიერმა ქარმა სახურავი გადახადა. ასევე სრულადაა განადგურებული კულტურის სახლის ინვენტარი.

სოფლის მაცხოვრებელთა აზრით, უპირველესად, უნდა მოხდეს შენობის კედლების მდგრადობის შესწავლა, შემდგომ კი მისი გადახურვა და რემონტი. მოსახლეობა მიიჩნევს, რომ თუკი მოხდება შენობის რეაბილიტაცია, გამომდინარე მისი მასშტაბებიდან შესაძლებელია სხვადასხვა დაწესებულებების განთავსება. კერძოდ:

- საბავშვო ბაღი - მოქმედი საბავშვო ბაღის ხისგან ნაგები შენობა ამორტიზებულია, შენობაში ცხოვრობენ დევნილებიც, რის გამოც ბაღი მხოლოდ ერთ ჯგუფზეა გათვლილი, ოცამდე სკოლამდელი ასაკის ბავშვი კი შესაბამისი მომსახურების გარეშე რჩება. გამომდინარე ბაღის ფიზიკური მდგომარეობიდან, იგი რემონტს არ ექვემდებარება;
- ბიბლიოთეკა - სოფლის გამგეობის შენობაში ინახება წიგნების მდიდარი ფონდი, თუმცა ბიბლიოთეკა შესაბამისი ფართის უქონლობის გამო არ ფუნქციონირებს;
- ახალგაზრდული კლუბი;
- აფთიაქი;
- სუპერმარკეტი;

კულტურის სახლის შენობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს, რაც მოსახლეობის აზრით, გააადვილებს შენობის რეაბილიტაციის/დაფინანსებისათვის აუცილებელი პროცედურების დაწყებას.

- ოქტომბერის საჯარო სკოლაში მოუწესრიგებელია სველი წერტილები;
- ასევე მოსახლეობის ნაწილი მოითხოვს, რომ სოფელს შეეცვალოს სახელი და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ჩაატარონ გამოკითხვა სოფლის ახალი სახელის შესარჩევად;
- მარას უბანში, მდინარე ჩხოუშიაზე, აღსადგენია ხიდი, რომელიც სოფლის მოსახლეობას სახნავ-სათეს მიწებთან აკავშირებს;
- დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში მოუწესრიგებელია კანალიზაცია, სანიაღვრე არხები კი თითქმის მთელი სოფლის მასშტაბით გასაწმენდია;

- მოსახლეობა ასევე მოითხოვს დაზიანებული ელექტროსადენების შეცვლასა და ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას.

რუხი

სოფელი რუხი მდინარე ენგურის მარცხენა მხარეს, ზუგდიდი–სოხუმის საავტომობილო გზაზე, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარეობს. ზუგდიდიდან სოფლის ცენტრი დაშორებულია 5 კილომეტრით. სოფელში 6 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ რუხში სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს საბავშვო ბაღი. შესაბამისი ფართის უქონლობის გამო ბაღის ადმინისტრაცია ვერ ახერხებს მესამე ჯგუფის გახსნას, რის გამოც მიმდინარე წელს ოცზე მეტი ბავშვი ბაღის გარეშე დარჩა;
- სოფლის ქუჩებში მოსახრეშია გზები და აღსადგენია სანიაღვრე არხები, საგზაო ინფრასტრუქტურა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია საჭკადუოს უბანში;
- სოფლის ამბულატორიას არ მიეწოდება წყალი, ამბულატორიის ეზოში არსებული ჭა კი დაბინძურებულია და გაწმენდას საჭიროებს;
- ამორტიზებულია სოფლის კულტურის სახლის შენობა და საჭიროებს რემონტს;
- მოუვლელია სოფლის ცენტრში მდებარე პარკი, რომელიც 6 ჰექტარზეა გაშენებული.

რიყე

სოფელი რიყე მდინარე ენგურის სანაპიროზე მდებარეობს, იგი მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულია 10 კილომეტრით. სოფელში 2200-მდე ადამიანი ცხოვრობს.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ რიყეში აღსადგენია გზა, რომელიც სოფელს ქალაქ ზუგდიდთან აკავშირებს, მოსახლეობა გზის 7 კილომეტრიანი მონაკვეთზე ასფალტის დაგებას მოითხოვს;
- 2012 წლის ნოემბერში სოფელში ამოიღეს წყლის მილები, მოსახლეობის ნაწილი სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი; სისტემის რეაბილიტაციას ამ დრომდე უშედეგოდ ითხოვენ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განცხადებით, სოფელ რიყეში წყალმომარაგების გაუმჯობესების საკითხი შესაძლებელია განხილულ იქნეს „რეგიონში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების 2014 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას“;
- რიყეს საბავშვო ბაღის შენობა ამორტიზებულია, შესაბამისი ფართის უქონლობის გამო ვერ ხერხდება დამატებითი ჯგუფის გახსნა;
- მოსახლეობა მოითხოვს, რომ ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაში არსებული შენობები, რომლებიც სოფელ რიყეში მდებარეობს, გადაეცეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტს.

ჩხორია

სოფელი ჩხორია ზუგდიდი-მესტიას გზაზე მდებარეობს, იგი მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 14 კილომეტრითაა დაშორებული. სოფელში 4400-მდე ადამიანი ცხოვრობს.

გამოვლენილი პრობლემები:

- სოფელ ჩხორიას მოსახლეობა მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნიადაგის ლაბორატორიულ შესწავლას, მათი თქმით, ბოლო წლებში მკვეთრად იკლო სხვადასხვა კულტურების მოსავლიანობის დონემ;
- მოსახლეობის ინფორმაციით, გაზრდილია მიწის ნიადაგის მჟავიანობის დონე და საჭიროა მისი კირით დამუშავება;
- სოფელში არსებული საბავშვო ბაღი ამორტიზებულია. ზოგ უბანში მოსაწესრიგებელია შიდა გზები და სანიაღვრე არხები;
- მოსახლეობა მოითხოვს ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას.

პროექტის განმახორციელებელი გუნდის გადაწყვეტილებით, მორიგი შეხვედრები მოსახლეობასთან დარჩენილ სოფლებში მიმდინარე წლის ნოემბერში გაიმართება.